ტაო-კლარჯეთი – მონაცემთა ბაზა და კატალოგი

19 ივლისს, 19:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საკონფერენციო დარბაზში გაიმართება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის ტაო-კლარჯეთის მონაცემთა ბაზისა და კატალოგის წარდგენა.

პროექტი „ტაო-კლარჯეთი – ისტორიისა და კულტურის ძეგლები (გეოინფორმაციული სისტემა და ინტერაქტიური ვებ-რუკა)“ 2014-2016 წლებში, სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის მიერ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გეომონაცემთა ბაზა და გამოიცა კატალოგი.

გეომონაცემთა ბაზის შექმნა სიახლეა, როგორც საისტორიო მეცნიერებაში, ისე გეოსაინფორმაციო სისტემებში. ონლაინ ბაზა ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. მკვლევრებსა და დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს ოპერატიულად მიიღონ წერილობით წყაროებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები მათთვის სასურველ საძიებო რეჟიმში.

პროექტის ფარგლებში გამოცემული კატალოგი პირველი მცდელობაა, თავი მოუყაროს რეგიონის ძეგლებთან დაკავშირებულ დიდძალ ინფორმაციას. წიგნს ერთვის ტაო-კლარჯეთში გადაწერილი ან უწინ აქ დაცული ხელნაწერებისა და რეგიონთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების მოკლე კატალოგი. ასევე გამოცემაში წარმოდგენილია იმ ისტორიულ პირთა ლექსიკონი-ცნობარი, რომლებიც მოღვაწეობდნენ ტაო-კლარჯეთში ან რაიმე ფორმით იყვნენ დაკავშირებულნი რეგიონთან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანართი ტაო-კლარჯეთის დასახლებულ პუნქტებს ეხება. კატალოგს აგრეთვე ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია ტაო-კლარჯეთის რეგიონის ან მასთან მეტნაკლებად დაკავშირებული თემების შესახებ. კატალოგი დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ფილოლოგებს, სხვა სპეციალობის მეცნიერებსა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რეგიონის მდიდარი მემკვიდრეობით უბრალოდ დაინტერესებულ პირებს.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
pr@manuscript.ac.ge 577 977 199